სპორტი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან სამშაბათი, 19 ივლისი 1994 № 40 (115) ფასი 70 000 კუპონი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჩვენი ბედი ამათ ხელშია

დღეს, საღამოს რვა საათზე მეორედ თავის ისტორიაში საქართველოს ეროვნული გუნდი მეტოქეს თბილისში მასპინძლობს. ამჯერად ჩვენს დედაქალაქს მალტის ნაკრები ესტუმრა.

დღევანდელ შეხვედრას უდიდესი მნიშვნელობა ექნება ჩვენი ფეხბურთის განვითარების საქმეში. ჯერ ერთი, ეს ბოლო საკონტროლო შეხვედრაა ევროპის 1996 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირამდე, რომლის პირველი მატჩიც საქართველოს ნაკრებს უკვე 7 სექტემბერს მოლდოვასთან აქვს გასამართი და მეორეც — სწორედ დღეს მიღებული შთაბეჭდილებებით განისაზღვრება უეფას გადწყვეტილება, რომლითაც ჩვენ ან გვთამაშებენ შინ, ან არა.

მალტის ეროვნული გუნდი თბილისში კვირას დილით ჩამოვრინდა ერევნიდან, სადაც ანალოგიურ ტესტ-მატჩში სომხეთის ნაკრებს გაუწია პარტნიორობა და დამარცხდა 0:1. ამავე რეისით გვესტუმრნენ უეფას წარმომადგენლებიც — სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარე რენე ებერლე (ფოტოზე მარცხნივ) და ამავე კომისიის წევრი, შვეიცარიის ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივნის მოვალეობის შემსრულებელი ედგარ ობერტიუფერი. როგორც აეროპორტშივე სახელდაზელად მოწყობილ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა რენე ებერლემ, საბოლოო გადაწყვეტილებას თბილისში თამაშების მოწყობაზე უეფა დღევანდელი მატჩიდან ერთი კვირის განმავლობაში მიიღებს.

...წარსულს ჩაბარდა პერიოდი, როცა მალტასთან შეხვედრებში გუნდები მხოლოდ ბურთების შეფარდების მკვეთრ გაუმჯობესებაზე ფიქრობდნენ. მავალითისთვის გუშინწინ დამთავრებული მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირიც გამოგვადგება. აქ მალტელებმა მხოლოდ მინიმალური ანგარიშით დათმეს საშინაო შეხვედრები იტალიასა და პორტუგალიასთან, 1993 წლის 12 მაისს კი მსოფლიო თასზე თავისი პირველი გამარჯვებაც ჰოიპოვეს — ტალინში დამარცხეს ესტონელთა ნაკრები 1:0.

გეხსომებათ, წლეულს დღევანდელმა მეტოქეებმა უკვე ითამაშეს ერთმანეთთან, როცა მალტის ოთხთა ტურნირზე ჩვენმა ნაკრებმა 1:0 იმარჯვა. ქართველებს აღრეც დაუმარცხებიათ მალტის ეროვნული გუნდი. ეს 1985 წლის 20 აგვისტოს მოხდა ბულგარეთის ქალაქ ვარნაში გამართულ ტურნირზე, სადაც თბილისის „დინამომ" 3:2 მოიგო.

მალტელთა ბოლო პერიოდში ჩატარებულმა მატჩებმა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ იგი აღარაა ხელწამოსაკვრავი მეტოქე. მალტის ტურნირიდან რამდენიმე დღეში კუნძულელებმა მსოფლიოს ჩემპიონატისათვის მზადებადწყებულ ბელგიის ნაკრებს უმასპინძლეს და სენსაციური გამარჯვებაც (1:0) მოიპოვეს. ეს ერთადერთი გოლი ცნობილი პრიუდომის კარში მალტელთა ერთადერთმა ლეგიონერმა, ბელგიისვე „სერკლ ბრიუგეში" მოთამაშე 32 წლის კარმელ ბუზუტილმა გაიტანა. ამის შემდეგ კი მალტამ თავის ისტორიაში უდიდესი ანგარიშით გაიმარჯვა, როცა ჩვენი მეზობელი აზერბაიჯანის ნაკრები 5:0 გაანადგურა.

ასე რომ, დღეს ყოველმხრივ საინტერესო მატჩია: ჩვენს ნაკრებსაც „ცოცხლად" ვიხილავთ და ორი დღის წინ დამთავრებულ ფეხბურთის ზეიმის მონაწილეებსაც შეკადარებთ. თუმცა, ერთიც არ დაგვავიწყდეს: არაფერი ჩავიდინოთ ისეთი, დიდ ფეხბურთს კიდევ დიდი ხნით რომ ჩამოგვაშორებს.

WorldCup USA 94

BRAZIL!

ბრაზილია ოთხგზის ჩემპიონია!

უბრალო ბრაზილიელები

ბრაზილია 0:0 იტალია
პენალტებით 3:2

52. ფინალი
ლოს-ანჯელესი, 17 იელისი

ბრაზილია: ტაფარელი, ჟორჟინინო (კაფუ 22), ალდაირი, მარსიო სანტოსი, ბრანკო, მაურო სილვა, დუნგა, ზინინო (ჟიოლა 106), მაზინინო, ბებეტო, რომარიო
იტალია: პალიუკა, მუსი (აპოლონი 35), ბარეზი, მალდინი, ბენარივო, ალბერტინი, დონადონი, დ.ბაჯო (ვვანი 95), ბერტი, რ.ბაჯო, მასარო

პენალტები: ბარეზი (აციილა), მარსიო სანტოსი (მეკარე), ალბერტინი — 0:1, რომარიო — 1:1, ვვანი — 1:2, ბრანკო — 2:2, მასარო (მეკარე), დუნგა 3:2, რ.ბაჯო (აციილა)

გაფრთხილება: მაზინინო (4), აპოლონი (42), ალბერტინი (43), კაფუ (87)

კარში დარტყმები: 16-6, ზუსტად დარტყმული: 8-3, კუთხური: 5-3, ჯარიმა: 16-17, ოფსაიდი: 10-4.
მსაჯი: შანდორ პული (უნგრეთი)

1974 წლიდან, რაც ფიფას პრეზიდენტად აირჩიეს, ბრაზილიელმა ჟიულ რიმემ ფეხბურთისთვის უმძრავი სასიკეთო და ქველი საქმის გაკეთება მოახერხა, ამაგიც დაუფასდა. მაგრამ მთავარი ჯილდო აღზევებიდან 20 წლის შემდეგ მიიღო: თანამემამულეებმა, როგორც იქნა, ბრაზილიის გაჩემპიონებას მოასწრეს 78 წლის ბერიკაცი.

წინა სამ, მეტადრე კი 1970 წლის გამარჯვებას იმოდენა რეზონანსი მოჰყვა, მასუკან გამართულ ყველა მსოფლიოს ჩემპიონატს რომ ასვამს ხოლმე დაღს: აგერ უკვე შეექვსე ჩემპიონატია რაც ბრაზილია უპირობოდ აღიარებული მთავარ ფავორიტად — გულშემატკივრების, ჟურნალისტების და საოცარია, მაგრამ მეტოქე გუნდების მწვრთნელ-მოთამაშეთა მიერ. მოკლედ, ჩემპიონატამდე ბრაზილიას ყველა ფინალიზად ეგებოდა, ესენიც შეიფერებდნენ და მერე, ცოტა არ იყოს, სასაცილო მდგომარეობაშიც ჩავარდებოდნენ ხოლმე: წინასწარ ეტაზე ყველა მეტოქეს დაფრენდნენ, შემდგომ ერთადერთ მატჩს წაგებდნენ, ან სულაც წაუგებლად გამოეთხოვებოდნენ ჩემპიონატს (1978, 1986), ატეხდნენ ერთ ამბავს — სად გაგონილა ერთხელ წაგებული გუნდი შინ გაეგზავნოთ, შეგვირცხვენია ჩემპიონატის რეგლამენტი და თავსაც თვითონ დაიმშვიდებდნენ — ამ ჩემპიონატზე უძლიერესები ხომ ვიყავით, ულამაზეს ფეხბურთს ხომ ვთამაშობთ და ოთხი წლის შემდეგ ვნახავთ ჩვენ მეტოქეების კუდებით ნახროლ ქვებსო. არადა, მართლაც ძლიერი გუნდებს ჰყავდათ და 1982 და 1986 წლებში მართლაც ლამაზად თამაშობდნენ.

ერთი სიტყვით, 1974 წლიდან დღემდე ბრაზილიელებს ქართველებისგან ძნელად თუ განსხვავებდით: ცეკვა-თამაში და ტაშ-ფანდური ხომ ჩვენსავით და ჩვენზე მეტად უყვართ, ბაქიბუქსა და ტრაბახშიც არ ჩამოგვავარდებოდნენ და, ჩვენი არ იყოს, აწმყო არასდროს სწყალობდათ — წარსულს მისტიროდნენ და ერთთავად მომავლის იმედად იყვნენ.

დ აბა, ბრაზილია ჩემპიონია! თავიდანვე ვთქვათ — დამსახურებული ჩემპიონი, რომელმაც 7-დან 5 მატჩი მოიგო, 2 ფრედ დამთავრა, ამ ჩემპიონატზე ერთადერთს — თამაში არ წაუგია და, თუ ყველა მეტოქე ზედმეტი რიდითა და მოკრძალებით ეთამაშა, ბრაზილიელთა ბრალი და მით უფრო ნაკლი სულაც არაა — შეიძლება ღირსებადაც ჩაეთვალოთ. ბრაზილიელთა ბრალი არც ისაა, ფინალი მატჩისშემდგომი პენალტებით რომ მოიგეს — ამაზე თავი ფიფამ იმტკიცოს — და არც ის, მათი შესაძლო მთავარი კონკურენტის მთავარი მოთამაშე დოპინგზე რომ გამოიჭიროს.

წინამორბედთაგან განსხვავებით ღღეანდელ ნაკრებს გარეგნული ბრწყინვალება ნაკლებად ახასიათებს — თუ აუცილებელი არაა, ბურთს მაინცდამაინც მკერდით ან სხეულის სხვა ნაწილით არ გააჩერებენ, არც ქუსლით პასებს არიან მიძალებულნი, არც უმაზნო კეწწლაობასა თუ პამპულაობას — არა, ბრაზილიელობას მთლად ვერ დაეკარგავთ, მაგრამ უფრო სადა და პრაქტიკულად თამაშობენ.

მეკარისა და დაცვის ჭეშმარიტი ძალა კვლავაც გამოცანად დარჩა. — მათ მხოლოდ ჰოლანდიამ შეუტია ოციოდ წუთით და ისიც მაშინ, სხვა გზა რომ აღარ ჰქონდა. სახევარდაცვაში ზიკოსა და ფალკოს ბადალი ვარსკვლავები არ იყვნენ — მოკლე და მეტწილად განივი პასები გასდიოდათ და მეტად არც შეუწუხებიათ თავი — ანდა რა რჯიდათ, როცა წინ ორი სუპერთავდამსხმელი ეგულებოდათ.

ფინალში კარლოს ალბერტო პარეირამ მხოლოდ დასჯილი ლეონარდო ვერ ათამაშა, არივო საკის კი საქმე ბევრად უარესად ჰქონდა: ჯანსაღი და დაუსჯელი მოთამაშე თხუთმეტიოდე შერჩა. ყველაზე დიდი პრობლემები იტალიას თითქოს დაცვაში უნდა ჰქონოდა: ორი გაფრთხილების გამო კოსტაკურტამ უკვე მეორე დიდი მატჩი გამოტოვა — თუ გახსოვთ, მას არც ჩემპიონთა ლიგის ფინალი უთამაშია. საკის ჩემპიონატის დროს ნაოპერაციები (!) ბარეზი გამოიყვანა და მანაც დიდებულად ითამაშა. თამაშმა ნულ ტემპში ჩაიარა, თუმცა მას უინტერესოს მარტო იმიტომ კი ვერ დავარქმევთ, მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალი რომ ერქვა — საგულისხმო სხვაც ბევრი მოხდა, თუმცა ჯერ სტენოგრაფიულ ჩანაწერს გაეცანით:

4-ე წუთი. მაზინიმ წააქცია ალბერტი და მსაჯმა ბრაზილიელი ყვითელი ბარათით დასაჯა.

მე-13 წუთი. მარჯვენა ფრთიდან დუნგას ჩაწოდებული ბურთი კარში თავით რომარიომ დარტყა — პალიუკამ აიღო.

მე-19 წუთი. მასარო შევარდა მეტოქის საჯარიმოში, მაგრამ ხეირიანი დარტყმა არ გამოუვიდა და ბურთი ტაფარელმა აიღო. ეს იყო პირველი ტაიმის ყველაზე საზიფათო მომენტი.

25-ე წუთი. ბრანკომ საჯარიმოში დაარტყა, პალიუკამ ცუდად მოიგერია, თუმცა იქვე მდგომ მაზინიოს ბურთი ფეხებში გაებლანდა და წაიქცა.

33-ე წუთი. პულმა ვერ დაინახა პარაგვაელი თანაშემწის მიერ თამაშგარის დაფიქსირება. ამით ისარგებლა რომარიომ, მაგრამ ბოლო მომენტში ბარეზი ჩაუწვა და არ დარტყმევინა.

62-ე წუთი. ბრაზილია მეორე ტაიმში პირველად დაჯარიმდა. ამ დროისთვის იტალიელებს უკვე 6 ჯარიმა ჰქონდათ მიღებული.

68-ე წუთი. პირველად ამ ტაიმში ბრაზილიელებმა კუთხური მოაწოდეს — ბრაზილიის თაური კარს აცდა.

75-ე წუთი. მაური სილვას დარტყმული ბურთი გაუვარდა პალიუკას, შოხდა ძელს და ისევ იტალიელთა მეკარეს დაუბრუნდა.

82-ე წუთი. დონადონიმ დასარტყმელ

„სარბიელის" რჩეული:
პაოლო მალდინი
(იტალია — ბრაზილია)

პოზიციაში გაიყვანა რობერტო ბაჯო, მან კი კარს საკმაოდ აციილა.

93-ე წუთი. კაფუს ჩაწოდების შემდეგ ბებეტო საგოლე სიტუაციაში აღმოჩნდა, მაგრამ დაიბნა და ვერც რომარიომ დაამატა.

97-ე წუთი. რობერტო ბაჯოს შორეული დარტყმა ტაფარელმა კუთხურზე მოიგერია.

110-ე წუთი. კვლავ კაფუს სახიფათო ჩაწოდება გაცუდდა. ამჯერად რომარიომ ვერ მოახერხა თითქმის ცარიელ კარში გოლის გატანა.

111-ე წუთი. მასარომ პასი დაუგვიანა ევანის, რომელიც მეკარესთან პირისპირ უნდა გასულიყო.

112-ე წუთი. ვიოლას დრიბლინგის შემდეგ ბურთი კარის სიახლოვეს რომარიოს დარჩა, მაგრამ მცველს გაარტყა.

114-ე წუთი. ბოლო სახიფათო მომენტი მატჩში — მეკარესთან პირისპირ გასულ რობერტო ბაჯოს ძალა აღარ ეყო ხეირიანად დასარტყმელად და ბურთი ტაფარელმა აიღო.

...მთავარი მწვრთნელთა ბრძოლა გამოდგა. საკუთარი რესურსებიდან გამომდინარე, საკიმ დაცვითი ტაქტიკა აირჩია, მეტოქეს ცენტრი დუთმო და საკუთარ საჯარიმოსთან გამაგრდა. ბრაზილია მატჩის უმეტეს დროს აკონტროლებდა ბურთს. იტალიელთა დაცვას არც აქამდე აკლდა სიმტკიცე, მაგრამ ბარეზიმ იგი ისე შეკრა, რომ საკუთარ საჯარიმოში თვით ბებეტოცა და რომარიოც არ გააჭაჭანა, თუ ბოლო თხუთმეტ წუთს არ ჩავთვლით, როცა ორივე გუნდის მოთამაშეები ძლივსღა დალასლასებდნენ. მალდინიმ, ამ ჩემპიონატზე მესამე ამპლუა — ამჯერად სტოპერობა მოსინჯა, თუმცა პირველი ტაიმის ბოლოს თავისი ადგილი დაშავებული მუსის შემცვლელ აპოლონის ჩაბარა, თავად კი მარცხენა მცველობას დაუბრუნდა და ორივე ადგილზე დიდებულად ითამაშა — ამ თამაშში 20-ჯერ წაართვა ბურთი ბრაზილიელებს! მას არც ბარეზი, აპოლონი და ბენარივო ჩამორჩნენ და იტალიური დაცვა გაუვალი შეიქნა. მანამდე მარჯვენა მცველი ბრაზილიელებსაც შესაცვლელი ვაუწდათ და კაფუმ ჟორჟინიოზე უკეთაც ითამაშა, თუმცა მალდინის წინააღმდეგ რას გახდებოდა!

ბრაზილია საჯარიმოს გარშემო მოკლე გადაცემების ანბარა დარჩა და შორიდან დარტყმებს მიეძალა — არც ეს გაუვიდათ — პალიუკამ მხოლოდ ორჯერ დუშვა შეცდომა და თავადვე გამოასწორა. თუ ამ მატჩამდე ბებეტო იწვდა უკან ბურთის მოსაპოვებლად, ახლა რომარიომაც იკადრა, მაგრამ ვერას გახდა.

საკის ტაქტიკას იქნებ ბოლომდე გაემართლებინა, წინ თუნდაც ერთი გადაულეელი მოთამაშე რომ ჰყოლოდა, მაგრამ ნახევარდაცვაში მხოლოდ დონადონი აქტიურობდა, ბერტის ფეხები თითქოს დაბორკილი ჰქონდა, ალბერტინი ტრადიციულად დაცვას ეხმარებოდა, დინო ბაჯო კი ბოლო სამ თამაშში საერთოდ არ ჩანდა. იტალია კონტრშეტევის გარეშე დარჩა. ფეხმტკივანი, უმწეო რობერტო ბაჯო ხომ საცოდავი სანახავი იყო, მაგრამ სრულიად ჯანსაღ, თუმცა უნდილ მასაროს კიდევ ეგ ხჯობდა. ამათ მოსავლელად მარტო მარსიო სანტოსმაც იკმარა. საკიმ ვერც ხეირიანი შემცვლელი აარჩია — ვერც კონტეს ენდო, ვერც სინიორის და ვერც ძოლას — საიდანღაც თავისი ყოფილი კლუბელი ევანი გამონახა, რომელიც მის გარდა ალბათ აღარავის ახსოვდა.

საბოლოოდ ისე მოხდა, რომ იტალიის ხუთი პენალტიდან ორი ავადმყოფმა დაარტყა, ერთიც მასარომ და რაღა გასაკვირია, რომ მოგება იმას დარჩა, ვინც უფრო იმსახურებდა.

ამგვარად, პირველად მოხდა, რომ მსოფლიო ჩემპიონის ვინაობა პენალტებმა გამოარკვია. ფიფა ალბათ იმასაც გაიხსენებს, რომ 1990 წელს ორივე ფინალისტი ანალოგიურად გამოვლინდა, იტალია კი ზედიზედ ორი ჩემპიონატია, პენალტების გადამკიდე გამოეთიშა ჩემპიონობისათვის ბრძოლას, თუმცა, ვიმეორებთ რომ ეს ფიფას პრობლემებია და არა ბრაზილიელებისა.

...1974 წლიდან დღემდე ბრაზილიელებს ქართველებისგან ძნელად თუ გამოარჩევდით: ცეკვა-თამაში და ტაშ-ფანდური ხომ ჩვენსავთ და ჩვენზე მეტად უყვართ, ბაქიბუქსა და ტრაბახშიც არ ჩამოგვავარდებოდნენ და, ჩვენი არ იყოს, აწმყო არასდროს სწყალობდათ — ერთთავად მომავლის იმედად იყვნენ. 1994 წელს ბრაზილიელებმა, როგორც იქნა, თავისას მიაღწიეს. იქნებ ჩვენც გვეშველოს და ბედნიერი აწმყოს გათენებისთვის დავიწყოთ ზრუნვა. ცხადია, აქ მარტო ფეხბურთს არ ეგულისხმობთ.

ზურაბ მეძველია
მამუკა ჩიხლაძე

სოციალიზმი იმარჯვებს

51. მესამე ადგილისთვის
ლოს-ანჯელესი, 16 ივლისი

შვედეთი 4:0 ბულგარეთი

შვედეთი: რაველი, რ. ნილსონი, პ. ანდერსონი, ბიორკლუნდი, კამარკი, შვარცი, მილდი, ინგვასონი, ბროლინი, ლარსონი (ლიმპარი 77), კ. ანდერსონი
ბულგარეთი: მიხაილოვი (ნიკოლოვი 46), კირიაკოვი, ხუბჩევი, ივანოვი (კრუმენლიევი 42), იანკოვი, ცვეტანოვი, ლეჩკოვი, სირაკოვი (იორდანოვი 46), ბალაკოვი, სტოიჩკოვი, კოსტადინოვი

1:0 ბროლინი (8)
2:0 მილდი (30)
3:0 ლარსონი (36)
4:0 კ.ანდერსონი (40)

გაფრთხილება: იანკოვი (72), კ. ანდერსონი (79)
მსაჯი: ალი მოჰამედ ბუსაიმი (საუმიროები)

ბულგარელმა მისანმა ვანგამ, საქართველო 2010 წელს მსოფლიოში ერთ-ერთი აყვავებული სახელმწიფო იქნებაო, რომ იწინასწარმეტყველა, მეოთხედფინალის წინ თქვა, ჩვენები გერმანელებს უეჭველად სძლევენო. ვანგამ არც მაშინ შეიხარა წარბი, როცა მათეუსმა პენალტით ანგარიში გახსნა — მის ეზოში შეკრებილ თანაქალაქელებს გასძახა, არა უშავს, ჩვენი დანჩო (ლეჩკოვის მეტსახელია) ნახევარფინალში გაგვიყვანსო. წარმატების შემდეგ ვანგამ ახლა ის ბრძანა, ფინალში ბრაზილია ბულგარეთს შეხვდებაო, მაგრამ გამჩენი სხვანაირად ფიქრობდა და ნახევარფინალის საგზურის გარდა იტალიელებს ექვსი მილიონი დოლარი მოაპოვებინა. ბულგარელთა წარუმატებლობამ მატჩზე საგანგებოდ ჩაფრენილი ბულგარეთის პრეზიდენტი ჟელიუ ჟელევი ხომ გაანწყინა და გაანწყინა, მისი ამერიკაში მიმპატიჟებელი ხრისტო სტოიჩკოვი კინაღამ დაობლა; ანერვიულებული მამა სტოიჩკო წამლებმა იხსნეს გულყრისგან, გულწასული დედა პენკე კი ექიმებმა საავადმყოფოში ძლივს მოასულიერეს.

მატჩის დაწყებიდან ხუთიოდე წუთი იყო გასული, შვარცმა ბულგარელთა საჯარიმოში ჩაკიდა ბურთი და კენეტ ანდერსონს ცოტა დაკლდა, საფირმო გოლი რომ გაეტანა; თუმცა ტაიმის დასრულებამდე ხუთიოდე წუთით ადრე იმავე ანდერსონმა იმავე შვარცის ჩაწოდებით მაინც გაიტანა „თავისი" გოლი და ბულგარელთა მწვრთნელი პენევიც იძულებული გახადა შეეცვალა მეკარე მიხაილოვი, მეოთხე გოლმა ხელოვნური თმა ყალყზე რომ დაუყენა და მცველი ტრიფონ ივანოვი, „შერეკილების" ტრიფონივით დაბნეული რომ აწყდებოდა აქეთ-იქეთ.

ანდერსონამდე კი, ლამის ვინც არ დაიზარა, შვედთაგან ყველამ გოლი გაიტანა ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშის თომას ბროლინის უშუალო მონაწილეობით: ჯერ თავად ბროლინმა კირიაკოვთან და ხუბჩევთან ნაჭიდავები ინგესონის ჩაწოდებული ბურთი შეაგდო თავით, იცდამეათე წუთზე ბულგარელთაგან მოცელილი უცაბ წამოხტა, სანამ ისინი გონს მოვიდოდნენ, საჯარიმო დდო და მილდი მიხაილოვთან პირისპირ დატოვა, ხუთიოდ წუთში კი ლარსონი გაიყვანა საბოლოოდ დაბნეულ მიხაილოვ-ივანოვის დუეტის პირისპირ და მესამე გოლიც გავიდა. სიტყვამ მოიტანა და, ბროლინმა შვიდი მატჩი ისეთ დონეზე ჩაატარა, რომ ჩემპიონატის საუკეთესო თუ არა, ყველაზე სასარგებლო მოთამაშის ტიტულს უეჭველად იმსახურებდა. მეორე ტაიმი კი ამოდენად ქონდა ანარი, რამდენადაც ყველა ველოდით — ამყარდებოდა თუ არა ბულგარელები, სანდინავიელებს ასპროფესიონალურ-მენტალურ ნახევარიც რომ გამოეყენებინათ, უჩვეულო ანგარიშს ხომ დაფიქსირებდნენ და დააფიქსირებდნენ, თვითონ ამ ჩემპიონატსაც უფრო შედეგიანს გახდიდნენ, მაგრამ ნიშნულს — (141) გოლი — ძვრა ვერარ უყვეს. კენეტ ანდერსონს მეტი რომ მოენდომებინა, სალენკოს და სტოიჩკოვის გასწრება რა სათქმელია, ეიუსტ ფონტენსაც კი მიუახლოვდებოდა. ხანდახან ისეთი შთაბეჭდილება მექმნებოდა, შვედებს გოლის გატანა უბრალოდ ეზარებათ-მეთქი. ჩვენსაბით ვერც ბულგარელებმა გამოიჩინეს თავი — სტოიჩკოვი ბევრს ეცადა მეშვიდე გოლის გატანას, მაგრამ რაველმა თავი ვაიგიჟა და ბედიც სწყალობდა.

პოსტსოციალურმა ბულგარეთმა, საბოლოოდ, გერმანიის დამარცხება და მეოთხე ადგილი იკმარა, შვედებმა კი, ორი საუკუთესო ფეხბურთელის, ლუნგისა და ტეგარეშეც ბალკანელებს ჭეშმარიტი, შვედური სოციალიზმის უპირატესობა დაანახვეს. თუ როგორ უნდა ბულგარელებთან თამაში, ნიგერიელებმა, იტალიელებმა და შვედებმა გვიჩვენეს და, ამ თამაშების ჩანწერები ქართული ფეხბურთის ხელმძღვანელთა „სამაგიდო წიგნებად" იქცეს.

შვედთა და ბულგარელთა წარმატებული გამოსვლა ჩემპიონატზე მათ მერე ყველაზე მეტად ფრანგებს გაეხარდებოდათ, მეექვსე ჯგუფში ჩვენა „გამოზრდილებმა" ვერცხლ-ბრინჯაო არავის დანებესო. თანაც ახლავე თადარიგს იჭერენ, ოთხ წელიწადში იცდათორმეტი გუნდი რომ მოგვიდგება, ღირსეულად დავზვდეთო.

მამუკა ძვარაცხელია

„სარბიელის" რჩეული:
თომას ბროლინი
(შვედეთი — ბულგარეთი)

ბომბარდირები

ხრისტო სტოიჩკოვი	ბულგარეთი	— 6
ოლეგ სალენკო	რუსეთი	— 6
რობერტო ბაჯო	იტალია	— 5
რომარიო	ბრაზილია	— 5
იურგენ კლინსმანი	გერმანია	— 5
კენეტ ანდერსონი	შვედეთი	— 5
მარტინ დალინი	შვედეთი	— 4
გაბრიელ ბატისტუტა	არგენტინა	— 4
ფლორინ რადუჩიუ	რუმინეთი	— 4
ბებეტო	ბრაზილია	— 3
გეორგე ჰაჯი	რუმინეთი	— 3
დენის ბერხკამპი	ჰოლანდია	— 3
ხოსე ლუის კამინერო	ესპანეთი	— 3
თომას ბროლინი	შვედეთი	— 3

კიდევ 15 კაცმა 2-2 გოლი გაიტანა, 51-მა — თითო, ერთიც — ავტოგოლი გავიდა. სულ 52 მატჩში გავიდა 141 გოლი. საშუალო შედეგიანობა — 2,71.

«სარბიელის» ნაკრები

მიშელ პრიუდომი
ბელგია

ალექს ლალასი
აშშ

პაოლო მალდინი
იტალია

ანტონიო ბენარივო
იტალია

ფერნანდო რედონდო
არგენტინა

გეორგე პაჯი
რუმინეთი

თომას ბროლინი
შვედეთი

რობერტო ბაჯო
იტალია

ბებეტო
ბრაზილია



რომარიო
ბრაზილია

იურგენ კლინსმანი
გერმანია

მეორე ნაკრები: **თომას რაველი (შვედეთი), სტან ვალქსი (პოლანდია), ალესანდრო კოსტაკურტა (იტალია), ლეონარდო (ბრაზილია), რობერტო დონადონი (იტალია), იორდან ლეჩკოვი (ბულგარეთი), კრასიმირ ბალაკოვი (ბულგარეთი), სერხი (ესპანეთი), დანიელ ამოკაში (ნიგერია), კენეტ ანდერსონი (შვედეთი), გაბრიელ ბატისტუტა (არგენტინა)**

ჩემპიონატის ოფიციალური სპონსორის, ფირმა MASTERCARD-ის ნაკრები: პრიუდომი (ბელგია), ჟორჟინიო (ბრაზილია), მალდინი (იტალია), მარსიო სანტოსი (ბრაზილია), დუნგა (ბრაზილია), ბალაკოვი (ბულგარეთი), პაჯი (რუმინეთი), ბროლინი (შვედეთი), რ. ბაჯო (იტალია), სტოიჩკოვი (ბულგარეთი), რომარიო (ბრაზილია)

EUROSPORT-ის ნაკრები: პრიუდომი (ბელგია), ჟორჟინიო (ბრაზილია), ლალასი (აშშ), მალდინი (იტალია), ლეონარდო (ბრაზილია), დუნგა (ბრაზილია), ლეჩკოვი (ბულგარეთი), პაჯი (რუმინეთი), რ. ბაჯო (იტალია), სტოიჩკოვი (ბულგარეთი), რომარიო (ბრაზილია)

PERSONA GRATA

თომას ბროლინი

დაიბადა 1969 წლის 29 ნოემბერს პუდიკვალდში

სიმაღლე 176 სმ., წონა 74 კგ.

კლუბები: ნასვიკენს ი.კ., გ.ი.ფ. სუნდსვალი, ი.ფ.კ. ნორჩიოპინგი, პარმა

მიღწევები: 1992 წელს იტალიის თასის მფლობელი, 1993 წელს თასების თასის მფლობელი, 1994 წელს მსოფლიოს ჩემპიონატის მესამე პრიზიორი.

მსოფლიოს ჩემპიონატების ფინალურ ეტაპებზე (1990, 1994) 10 მატჩში 4 გოლი გაიტანა.

შვედური მაგიდის თამადა

არიან ფეხბურთელები, რომელთა თამაშს დაკვირვებით უნდა უცქირო, მათი მოქმედებები ანონდანონო და ისე დაასკვნა, ივარგა თუ ვერა, მაგრამ არიან ისეთები თვალში რომ გეცემიან. შვედ თომას ბროლინს მოედანზე ძებნა არ ჭირდება, ბრმა უნდა იყო, რომ ვერ შენიშნო თუ რაოდენ აქტიურია იგი. ბურთს რომ ჩაიგდებს თანაგუნდელებს საუცხოო პასებს ანვდის, თავად წინ გარბის და დასარტყმელ პოზიციას შესანიშნავად არჩევს, ხოლო თუ შეტევა ჩაიშალა უკან ბრუნდება და მეტოქისთვის ბურთის წასართმევად თავგამოდებით იბრძვის. ბროლინი საოცრად გამძლეა და „სარბიელის" აზრით მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელობასაც იმსახურებს.

შვედმა ბუცები პირველად... რვა თვისამ მოირგო. ეს მამამისის, შვედეთის მეორე ლიგის ერთ-ერთი გუნდის მოთამაშის რუნ ბროლინის ბუცები იყო. როგორც კი პატარა თომასმა აცა-ბაცა ნაბიჯები გადადგა, მამამ ბურთი მიუგორა და მომავალმა ვარსკვლავმა ფეხი გაკრა. ასე გაეცნო იგი თავის პრიუესიას. ეს სტოკჰოლმიდან სამასი კილომეტრით მოშორებულ პატარა ქალაქ ჰუდიკსვალში მოხდა. ცოტა ხანში ბროლინების ოჯახი ნასვიკში გადასახლდა, სადაც წამოჩიტული თომასი იქაურ საფეხბურთო კლუბში ჩაეწერა. მწვრთნელმა იგი იმთავითვე თავდამსხმელად გაანწესა. „მახსოვს უზარმაზარი გასახდელი ოთახი, რომლის კედელზეც 50-იანი წლების შვედური ფეხბურთის ვარსკვლავების, ლიდჰოლმისა და გრენის სურათები ეკიდა — იგონებს ბროლინი — ყველაზე მეტად კი ის სიამოვნება მახსოვს, ყოველი მატჩი რომ მანიჭებდა. ხომ იცით, ბავშვისთვის მთავარი გართობაა. ვერ ვიტანდი, დედა ფეხსაცმლის გაპრიალებას და შარვლის გაუთოებას რომ მაიძულებდა, სამაგიეროდ როცა თამაშს მოვიგებდით მეცხრე ცაზე ვიყავი".

თომასი ტრადიციულ შვედურ, ანუ სპორტულ ოჯახში აღიზარდა. მისი უმცროსი და მარი, ძმასავით ფეხბურთს თამაშობს და ქვეყნის ქალთა ნაკრებში აყვანამდე ცოტა დააკლდა, ადრე კი ხელბურთს თამაშობდა. ძმა პაკონიც ფეხბურთელია, მეორე ლიგაში ასპარეზობს. თავად თომასს ჩოგბურთიც ეხერხებოდა, პინგ-პონგიც, ხელბურთიც, პოკეი კი ლამის მთავარ სახეობად ექცა. თხუთმეტი წლისას სხვადასხვა გუნდები ეპატიჟებოდნენ კიდეც, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს ბროლინმა განაცხადა, რომ ფეხბურთის გარდა იგი ყველაფერს თავს ანებებდა. ეს იყო და ეს. მართალია იგი დღემდე აღნიშნავს, რომ პოკეიმ მას ბევრი საჭირო თვისება, მეტადრე კი გამძლეობა და ზუსტი თამაში შესძინა, მაგრამ ყინულსა და მინდორს შორის მინდორი არჩია და როგორც ხედავთ არ შემცდარა. შემდგომ ყველაფერი ტრადიციულად, სკანდინავურად მოხდა. ახალგაზრდა ფეხბურთელი მამასთან მივიდა, ოჯახისგან ცალკე ცხოვრება და საკუთარი ბედის პატრონობა სთხოვა. მამამ გზა დაულოცა და ყმანვილი ჩრდილოეთის ქალაქ სუნდსვალის გზას დაადგა. თომასმა იმთავითვე იცოდა, რომ სწავლას არ შეეშვებოდა და ამას სუნდსვალშიც შეძლებდა, ამიტომაც ოჯახმა მისი სტოკჰოლმში ან გეტებორგში წასვლა არ დაიჯერა. ახალ ქალაქში იგი ადგილობრივი ფეხბურთის გუნდს გაესინჯა და კონტრაქტიც გაახერხა. ამგვარად ჩვიდმეტი წლისამ მან უკვე შვედეთის პირველ ლიგაში ითამაშა. სუნდსვალში ბროლინმა სამი სეზონი დაჰყო, შემდეგ კი „ნორჩიოპინგში" მიიწვიეს და იგიც უყოყმანოდ ახალ გუნდში გადავიდა. „აღარ შემიძლია მხოლოდ ორი ათასი გულშემატკივრის წინაშე თამაში" — თქვა მან. ამ დროს თომასი სამსახურშიც მოეწყო. მწვრთნელები მას კარგად თამაშს თხოვდნენ, თავისუფალ დროს კი არ უკონტროლებდნენ და ფეხბურთელიც საქმეს ეწია. სუნდსვალში იგი ჯიხურიდან კანფეტებს, სიგარეტს და ლატარეის ბილეთებს ყიდდა, ნორჩიოპინგში მაღაზიის დახლს მიუდგა და... ეროვნულ ნაკრებშიც მოხვდა. 1990 წლის 25 აპრილს უელსის წინააღმდეგ ამხანაგურ მატჩში თომას ბროლინმა პირველად მოირგო ქვეყნის მთავარი გუნდის მაისურა და ორი გოლი გაიტანა. ახლოვდებოდა იტალიის მსოფლიოს ჩემპიონატი. შვედები საუცხოო ფორმაში იყვნენ. მათ სანახაოდ მომავალი მეტოქის, ბრაზილიის მწვრთნელი ლაზარონი ფინელების წინააღმდეგ ამხანაგურ მატჩზე საგანგებოდ ჩაფრინდა და აღფრთოვანებული დარჩა: „ამ გუნდმა შესაძლოა ჩემპიონობასაც გამოკრას ხელი" — უთხრა მან ბრაზილიელ ჟურნალისტებს. საქმე კი სხვაგვარად აეწყო. მრისხანე მეტოქესთან თანაბარ შეხვედრაში ბროლინმა გოლი კი შეაგდო, მაგრამ გამოცდილებამ თავისი გაიტანა, ბრაზილიამ მოიგო 2:1. მომდევნო ორი მატჩი შოტლანდიასთან და კოსტა-რიკასთან აგრეთვე სკანდინავიელთა მარცხით დამთავრდა და დიდ გულზე მყოფმა შვედებმა, ბროლინის სიტყვით, დასჯილი ბავშვებივით დატოვეს იტალია. შინ დაბრუნებულ თომასს ტელეფონი ლამის თავზე დაექცა. ერთადერთ შვედს, რომელმაც ჩემპიონატზე გაიბრწყინა, თავისთან გადასვლა თორმეტმა კლუბმა შესთავაზა. უმეტესად ესპანეთიდან და იტალიიდან ურეკავდნენ, თუმცა აქა-იქ გერმანელები, ინგლისელები და პორტუგალიელებიც შეეხმიაწენ. მწვრთნელთან, თანაგუნდელებთან და რაც მთავარია მამასთან თათბირის შემდეგ ბროლინმა „პარმა" აირჩია. მაშინ „პარმა" სერია A-ი ახალი დაბრუნებული იყო. შვედი იტალიის ქალაქს ხელად შეეწყო. ერთი პირობა კი პკითხა გუნდის მწვრთნელს ნვიო სკალას, თქვენს ქვეყანაში დაცვითი ფეხბურთი ბატონობს და ჩემი საქმე როგორ იქნება, ეგებ გუნდს ვერ შეეუთამაშდეო, მაგრამ, როდესაც სკალამ გეგმები გაანდო, ბროლინი დამშვიდდა. სკალა ის კაცი აღმოჩნდა, რომელმაც სულ სამჯერ ნანახი კოლუმბიელი ყმანვილი ფაუსტინო ასპრილია მყის თავისთან გადაიყვანა. იგი, ბროლინი და მელი დიდებულად შეათამაშა, შემტევი გუნდი შექმნა, იტალიის თასსაც დაესაკუთრა, თასების თასსაც და ნლეულსაც ცოტა დააკლდა თასების თასი მეორედ არ მოიპოვა. „უემბლი" ევროპის ულამაზესი სტადიონია, შვედთათვის კი ინგლისურ ფეხბურთთან დაკავშირებული ყველაფერი საგანგებოა, ინგლისში მოგება — ერთიორად გასახარი. ნარმოიდგინეთ რას განვიცდიდი, როდესაც ლონდონში „ანტვერპენს" თასების თასის ფინალში ბრწყინვალედ მოვუგეთ" — თქვა „პარმას" თავდამსხმელმა.

ამასობაში კი შვედეთის ნაკრები აღმავლობის გზას ადგა. გუნდმა ორი წლის წინ ევროპის ჩემპიონატზე ღირსეული შთაბეჭდილება დატოვა, შედეგ მსოფლიოს პირველობის შესარჩევ ჯგუფში ფრანგთან, ბულგარელებთან და ავსტრიელებთან ჭიდილში ამერიკის საგზური მოიპოვა, ხოლო თუ ამერიკაში როგორ იასპარეზა, ყველას კარგად მოგეხსენება. ამ აღმასვლის სული და გული მათი მეთერთმეტე ნომერი, „სარბიელის" რჩეული თომას ბროლინი გახლავთ.

ილია გაბუნაშვილი

სანამ კონტრაქტები დაიდებოდეს...

14 აგვისტოს ერიონული ჩემპიონატი დაიწყება, მანამდე კი გუნდები ვარჯიშობენ, ეძებენ ოპტიმალურ შემადგენლობას. გაცნობებთ ჩვენს ხელთ არსებულ ყველა ინფორმაციას. „სამტრედიას" სათავეში ჩაუდგა „შევარდენი 1906"-ის ყოფილი მწვრთნელი მურთაზ ხურცილავა, ამ გუნდში ვარჯიშობენ ზაზა ჯანაშია, კახი გოგინაშვილი და გია ჭანტურია (შევარდენი), დავით ცომაია (კოლხეთი 1913), გიორგი გუჯაბიძე (ალაზანი).

„შევარდენი 1906" და „თეთრი არწივი" გაერთიანებას აპირებენ. თუ რა სახელით გამოვა გუნდი ახალ ჩემპიონატში, ორიოდე დღეში გაირკვევა. გუნდს სათავეში უდგას ნოდარ აკობია, რომელიც შარშან „ანცს" ხელმძღვანელობდა. გუნდში ვარჯიშობენ: დევაძე (კოლხეთი 1913), კეტაშვილი, ცაავა, შუბითიძე (თეთრი არწივი), ნადირაძე, ჯიქია (შევარდენი), გიზო ჯელაძე (ცხუმი), ბუცურეიშვილი (გურია) მინაშვილი (იბერია), მესტუმრე (კოწანისი), ზვადგიანი (ანცი). ბაგლდეშიდან დაბრუნდა ლადო ჭოლოკავაც. „შევარდენი" — „თეთრი არწივის" გაერთიანებულმა გუნდმა „სამტრედიას" ეთამაშა საკონტროლო მატჩი და ფრედ, 4:4 დასრულა იგი.

ლანჩხუთის „გურიას" კვლავ გიგლა იმსაძე დუბრუნდა, ფოთის „კოლხეთის" ისევ სოსო ფილია უდგას სათავეში.

დიდი ამბები ხდება რუსთავშიც. „მეტალურგს" სამ ათეულზე მეტი ფეხბურთელი გაუსინჯავს. რუსთაველთა მწვრთნელი რევაზ ძოძუაშვილი მისთვის დამახასიათებელი შრომისმოყვარეობით ეწევა სასელექციო მუშაობას. ძმები კილასონიები კი ახალ სეზონს ალბათ კვიპროსში გაგრძელებენ.

ევროპული განათლება და ევროპული დიპლომი თბილისში

საქართველო-საფრანგეთის უმაღლესი სასწავლებელი ESM-თბილისი ESM-International-სა და მოსპახის სპეციალურ აკადემიასთან (გფრ) ერთად ამზადებს მენეჯერს ფინანსების, მარკეტინგის, საერთაშორისო-კომერციული საქმიანობისა და წარმოების დარგში. კურსდამთავრებული მიიღებს, შესაბამისად, ESM-International-ისა და მოსპახის სპეციალური აკადემიის დიპლომს.

სწავლების ვადა 5 წელია. მიიღებიან საშუალო-სპეციალური და უმაღლესი განათლების მქონე პირები 25 წლის ასაკამდე. სწავლება ფასიანია. სტუდენტები გაივლიან სამხედრო მომზადებას.

მისაღები გამოცდები ჩატარდება 11-დან 16 ივლისამდე:
მათემატიკაში (ტესტები), ქართულ ენაში (წაკითხულის შინაარსი),
უცხო ენაში — ინგლისური, ფრანგული, გერმანული (ტექსტები).

საბუთები მიიღება. ESM-თბილისის მისაღები კომისიის მიერ ყოველდღე, 27 ივნისიდან 9 ივლისის ჩათვლით (გარდა კვირისა), 11 სთ-დან 18 სთ-მდე. ოთახები: 413, 401.

ESM

ჩვენი მისამართია: თბილისი, ვაჟა-ფშაველას 40 (მეტრო „დელისთან"), ESM-თბილისი.
ცნობებისათვის დარეკეთ: 39-16-73, 39-44-57, 39-65-90.

ტურისტული ფირმა „იმედი-92"
გთავაზობთ მოგზაურობას შემდეგ ქვეყნებში:

ჰოლანდია-ბელგია. პირველად თბილისიდან პირდაპირი რეისი თბილისი — ამსტერდამი. გასვლა 25 მაისს. ფირმა დაგეხმარებათ მანქანების შეძენაში. სასწრაფოდ დაგეხმარებით „ბენი-ლუქსის" გახსნაში.

ეგვიპტე (ქაირო-ალექსანდრია) — მგზავრობა თვითმფრინავით პირდაპირი რეისით თბილისიდან თბილისამდე.

საბერძნეთი (სალონიკი) — მგზავრობა თვითმფრინავით პირდაპირი რეისით, ასევე ავტობუსით.

ბულგარეთი (ვარნა) — თურქეთის გავლით. გასვლა თბილისიდან „მერსედესის" ტიპის ავტობუსით.

ლიბანი (ბეირუთი) — მგზავრობა თვითმფრინავით. პირდაპირი რეისი, პირველად თბილისიდან.

სინგაპური — მგზავრობა თვითმფრინავით. პირდაპირი რეისი, პირველად თბილისიდან.

ჩინეთი (ხარბინი) — მგზავრობა თვითმფრინავით. პირდაპირი რეისი, პირველად თბილისიდან.

ჩვენი მისამართია: ალ. ყაზბეგის გამზ. 42, ვაჭრობისა და მომარაგების სამინისტრო, IV სართული. ტელეფონები: 39-36-78; 38-11-14; 39-24-32.

Unlimited Hot Water

იყიდება

ისრაელის წარმოების

წყლის გამაცხელებელი

ATMOR SUPER-5

(5 კვტ. 220 ვ.)

ფასი 80 $.

ტელ: 39-36-78

ბებრეების გულის გასახარად

15 ივლისს ქართული სარაგბო თემი ძალუნებურად სამად გახლეჩილი აღმოჩნდა, რაც უთუოდ თემის შინაგანი უმართობისა და ფეხბურთელთა მსოფლიო პირველობის ბრალია. აბა, სხვას რას უნდა მიეწეროს, რომ დიდი ფეხბურთისაგან თავისუფალ სალამოს თითქმის ერთი და იმავე დროისთვის დაინიშნა სამი მნიშვნელოვანი ღონისძიება: ახალი სარაგბო წიგნის წარდგენა, უნივერსიტეტისა და პოლიტექნიკური ინსტიტუტის ვეტერანთა ტრადიციული მატჩი და თბილისის გუნდების ახალი საზაფხულო შეჯიბრების, ე.წ. მკათათვის ხვატის კალენდარული თამაში.

„ხვატში" ვაკეში მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვეს „ყოჩებმა", რომლებმაც 19:10 დაამარცხეს „მერკური" და სამი ტურის შემდეგ „თბილისის" მხარდამხარ ლიდერობენ. მანამდე იქვე მარცხი შეემთხვათ „ყოჩთა" წინამორბედ პოლიტექნიკოსებს, რომლებიც 1970-იანი წლების შემადგენლობით ეთამაშნენ კბილა უნივერსიტეტელებს. მეგობრული შეხვედრა, რომელშიც მრავალი ცნობილი პოლიტიკოსი, ბიზნესმენი და სამხედრო პირი მონაწილეობდა და რომელსაც ცნობილი მოქმედი მსაჯი გოჩა აბაშიძე სჯიდა, ისევე როგორც შარშან, წელსაც უნივერსიტეტმა მოიგო, ამჯერად 3(0):0. ერთადერთი საჯარიმო შეაგდო ვანო ბახტაძემ, რომელიც წელსაც თამაშობს საქართველოს პირველობის მეორე ჯგუფში და კიდევ მსაჯობს.

ვეტერანთა თამაში რაგბის კლუბ „შევარდენი" ტრადიციული პურობით დამთავრდებოდა. მცირე, დროების კვალობაზე თავშეკავებული ლხინი მოეწყო ცნობილი ჟურნალისტის ბაბრიელ ბარჯაძის ახალი, რიგით მეხუთე სპორტული წიგნის „მარაო თოვლზე" პრეზენტაციის დროსაც, რომელიც საქართველოს ვეტერან მორაგბეთა ფედერაციამ (პრეზიდენტი თენგიზ რუხაძე) გამართა.

„მიწაზე, წყალზე, პაერში", „რეგბი, რეგბი", „ლელობერთის ქრონიკებისა" და „ერთ გუნდად" ავტორს დიდი სმენაო გაუწევია და თავად ვეტერანთა, მეტადრე კი დათო თაქთაქიშვილის შემწეობით შეუკრებია ძველი ფოტოსურათები (ორასზე მეტი), რომლებიც რაგბის საოჯახო ალბომად შეეკრავს. მიუხედავად იმისა, რომ ფოტოები მეტწილად მოყვარულთა გადაღებულია, ორივინალები კი სიძველის გამო უხარისხოა, რასაც ჩვენებური სტამბების უვარგისობაც დამატებია, ალბომს მაინც არა უშავს რა. ყოველ შემთხვევაში, თავის უმთავრეს ფუნქციას — ბებერი მორაგბეების გულის გახარებას თავს შშვენივრად გაართმევს.

გაბრიელ ბარჯაძე ალბომს გადასცემს ვეტერან მორაგბეთა თავკაცს — თენგიზ რუხაძეს

ეს ნათლად დადასტურდა პრეზენტაციაზე, სადაც ავტორმა წიგნები მუქთად უსახსოვრა ყოველ დამსწრეს. მერე გაიმართა ავტოგრაფების გაცვლა-გამოცვლა და ძველი სამხიარულო ამბების გახსენება, რამაც საღამო კიდევ უფრო გაშენაარსიანა. მასპინძლებმა უღრმესი მადლობა მოახსენეს სტუმარს, რომელმაც ყველაფერთან ერთად იმდენი შეუპოვრობა და მარიფათიც გამოიჩინა, რომ სხვათა მიზეზით გაჯანჯღარებულ საქმეს მაინც დადგა თავი. არადა, ვეტერანთა ალბომის გარდა ჩვენს სარაგბო სახოგადოებრიობას, თამაშის ახალ წესები რომ აღარა ვთქვათ, 1992 წლის ოქტომბერში გამზადებული დიდი სარაგბო ჟურნალიც აქვს გამოსაცემი.

მეტოქეს ყურე მოაჭამა

სამხრეთი აფრიკის რაგბის კავშირმა საუოდამო დისკვალიფიკაცია მოუსაჯა ტრანსვალის კვაჭეოფილ ვიტეს ბუიტენდაჰს, ვინაც იოჰანესბურგის ორი კლუბის — „დოგერსისა" და „პაირატსის" მატჩში რაჭის დროს ჭეტოქე კრეიგ მილერს ყურზე უკბინა და ისე მოაკვნიტა, რომ ამას მისაკერებლად 128 (ას ოცდარვა) ნაკერი დაადეს. ამაზედ შერისხულ მორაგბეს განუცხადება, არფერ შუაში ვარ — სხვისი დანაშაული დამბრალესო. სამაგიეროდ, ჭვეყნის რაგბის მმართველობამ მსოფლიოს დანაწეს, რომ სასტიკ და ხულიგან მოთამაშეებს არ გაახარებენ, რითაც კრიტიკოსთა ლიანგიც ჩაჩუმეს.

რუსები აღარ ხუმრობენ

დევისის თასი
მსოფლიოს ჯგუფი
15-17 ივლისი
მეოთხედფინალები

ჰოლანდია 2-3 აშშ

როტერდამის პორტში პირველ დღეს სტუმრებმა ერთეულთა ორივე თამაში მოიგეს. ჯერ სამპრასმა საათსა და 15 წუთში 6:2, 6:2, 6:0 მოუგო ელტინგს, მერე კი კურიემ 6:4, 6:3, 6:3 აჯობა კრაიჩეკს. შაბათს წყვილთა შეხვედრაში ელტინგმა და პარპუსმა ხუთ ხელში, რომელთაგან ორი ტაი-ბრეიკამდე მივიდა, სძლიეს პამერსა და რენებერგს. კვირას სენსაცია მომწიფდა: პირველსავე შექცეულ შეხვედრაში კრაიჩეკმა მსოფლიოს პირველ ჩოგან სამპრასს 2:6, 7:5, 7:6, 7:5 სძლია და შეხვედრათა ანგარიში გაიყიმა, მაგრამ ფავორიტი ამერიკელები იხსნა კურიემ, რომელმაც ოთხ ხელში დამარცხა ელტინგი.

საფრანგეთი 1-3 შვედეთი

ჟერორტ კანში პირველი დღე ფრედ დამთავრდა. ფრანგებს ტრავმებმა გამოაკლო ლეკონტი და ფორეე. ჯერ ედბერგმა მოუგო ბეშს, მაგრამ დევისის თასის დებიუტანტმა (!) პიოლინმა სამ ხელში სძლია ჰოლშს. წყვილებში სტუმრებმა იმარჯვეს: პალმა და ბიორკმანმა 6:1, 6:4, 6:4 მოუგეს გალტერსა და ფლორიანს. კვირას ედბერგმა პირველივე შეხვედრა მოუგო პიოლინს 6:4, 6:3, 6:1 და თავისიანებს გამარჯვება დაუბეჭა.

გერმანია 3-1 ესპანეთი

მასპინძლებმა პალეს ბალახის მოედნებზე ირჩიეს თამაში. პირველი დღე აქაც ფრედ დამთავრდა: ბრუგერამ სამ ხელში სძლია გელნერს, მაგრამ მერე შტიხმა 4:6, 6:3, 7:6, 6:2 მოუგო ბორილიოს. შაბათს წყვილთა თამაშში გერმანიამ 6:3, 7:6, 6:2 გაიმარჯვა. კვირას კი შტიხმა ბრუგერას ოთხ ხელში აჯობა და ბოლო შეხვედრა ზედმეტი გახდა.

რუსეთი 3-2 ჩეხეთი

სანქტ-პეტერბურგში რუსებმა კვლავ ივაჭკაცეს. პარასკევს კაფელნიკოვმა სამ ხელში მოუგო დოჟდიჭს, მაგრამ ოლხოვსკიმ 3:6, 2:6, 2:6 წაგო კორდასთან. შაბათს კორდამ და წყვილთა თამაშის სპეციალისტმა სუკმა მასპინძლებს 3:6, 6:4, 4:6, 6:3, 7:5 მოუგეს და 2-1 დაწინაურდნენ, მაგრამ კვირას რუსებმა ორივე შეხვედრა მოიგეს ოთხ ხელში: კაფელნიკოვმა კორდა დამარცხა, ოლხოვსკიმ კი — დოჟდიჭი.

ნახევარფინალები 23-25 სექტემბერს გაიმართება, ფინალი კი — 2-4 დეკემბერს.

ბოლო თვეა, ჩოგბურთის სამყარომ ორგზის განაცადა მძიმე დანკლეისი. ჯერ იყო და უიმბლდონის ვაკეთ ფინალის დღეს გულის შეტევით 59 წლისა გარდაიცვალა ავსტრალიელი ლუ ჰოუდი, რომელსაც სისხლის გათეთრებაცა სჭირდა. ჰოუდს 1956-7 წლებში უიმბლდონი მოუგია, 1956 წელს კი — ავსტრალიისა და საფრანგეთის ღია პირველობებიც. ასპარეზის მიტოვების შემდეგ ოსტატი ესპანეთში, ქალაქ მალაგაში დაფუძნებულა და იქ საოგბურთო სკოლა გაუხსნია.

ამ კვირას მოკვდა ფრანგ მუშკეტერთა ოთხეულად ცნობილთაგან ერთი, 96 წლის ჟან ბოროტრა. 1920-30-იან წლებში მას ხუთჯერ მოუგია ამჟამინდელი დიდი სლემის ტურნირები, დევისის თასზე კი 17 წლის განმავლობაში უსახარეზია და ექვსჯერ გუმარჯვნია თანაგუნდელებთან ერთად. მას შემდეგ დიდი ხანი გამოხდა, ჭიდრე ფრანგები დევისის თასს მოიპოვებდნენ. ამბტომ ყოფილა, რომ 1991 წელს გამარჯვებით გულაწყვეტელ ბოროტრას კაპიტანი იანიკ ნოა გულში ჩაკრავს.

ინდურაინს ვიღა დაეწევა

უქმე დღის შემდეგ საფრანგეთის ტურმა აზრი დაკარგა, რაკიღა მის დამთავრებამდე ერთი კვირა რჩება, ესპანელი მიგელ ინდურაინი კი უახლოეს მდევარს თითქმის რვა (!) წუთს უგებს. პარასკევს XII ეტაპი პირენეებში 4-ნახევარი წუთით მოიგო ფრანგმა ვერონკმა და დაეწია შვეიცარიელ რომინგერს — ორივენი ლიდერს 3 წუთითა და 9 წამით ჩამორჩებოდნენ. მარცხი შეემთხვათ იტალიელებს: კიაპუჩი ავად გახდა, ბუნიომ კი გამარჯვებულთან 27 წუთი წაგო. შაბათს რბოლა 37 გრადუსიან პაპანაქებაში ჩატარდა. რომინგერს (ფოტოზე) გრიპი შეეყარა და ტური მიატოვა. კვირის XIV ეტაპმა კიდევ 15 მრბოლი შეიწირა, მათ შორის ბუნიო. გაიმარჯვა დანიელმა ხორენსენმა.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის სამშაბათობითა და პარასკევობით
ინდექსი 66441
რაიონებისთვის გაზეთის ფასი სახელშეკრულებო

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. ტელეფონი: 39 48 29
წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208
იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს" საგაზეთო კორპუსში; ხიშარაულის 29

დამფუძნებელი:
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედკოლეგია: ბია ახალაძე, ილია ბაბუნაშვილი, ზაალ გიგინეიშვილი (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ზურაბ მეძველია, მამუკა ჩიხლაძე (პასუხისმგებელი მდივანი)